ოქმი:ო02. 3722350001
თარიღი:16/12/2022

ოქმი № 25

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 16 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ. კილაძე, ვლ. ხავთასი, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. თ. ტუღუში, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე, ნ. ჭანიშვილი, ტ. აროშიძე, ნ. ურუშაძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის, გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, კორექტირებული პროექტის შესახებ, აღნიშნა, რომ მასში თითქმის სრულადაა გათვალისწინებული შენიშვნები, მათ შორის ინფრასტრუქტურული კუთხითაც, ვრცლად კორექტირებული ბიუჯეტის პროექტზე ისაუბრა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, მან პირველ რიგში კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია პროექტში შეტანილ ცვლილებებზე, ბიუჯეტი პირველ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 831 ათასი ლარით. შენიშვნები და რეკომენდაციები შემოსული იყო როგორც საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისაგანაც. მათი უმრავლესობა გათვალისწინებულია. ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ კომისიის წინადადება იყო ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში გათვალისწინებულიყო სოფელ მერიაში არსებული სოციალური საცხოვრისის უკანა ფასადის და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია, მიღებულ იქნა მერიისაგან პასუხი: საკითხი განხილულ იქნა, კომისიას მიაჩნია, რომ ბიუჯეტში კონკრეტულად უნდა ასახულიყო დრო, როცა განხორციელდებოდა ეს სამუშაოები, ესა პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნა. პ. ჭყონიამ განმარტა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის ნაშთების განხილვისას გათვალისწინებული იქნება ამ სამუშაოების დაფინანსება. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. აროშიძემ განაცხადა, რომ სოციალურ საცხოვრისში ცხოვრობს ისეთი ოჯახები, რომ 34-მილიონ ლარიან ბიუჯეტში აუცილებლად უნდა დაფინანსდეს მოთხოვნილი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტის წარდგენა საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა- დამტკიცების მიზნით. კომისიის წევრებმა კენჭისყრით მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებული პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი